



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1922  
30/11/2018

ქალაქი ბათუმი

1922-05-4-201811301535



**მადონა სამნიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე, შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 2 სამუშაო დღის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მადონა სამნიძის 2018 წლის 29 ნოემბრის №3385-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მადონა სამნიძეს – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს, შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 2 სამუშაო დღე, 2018 წლის 29 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

